კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სამართლის სკოლა (CSL)

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | სამართალი |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე** | Law |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური** | დოქტორანტურა |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | რეგულირებადი |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი** | |
| **ქართულად:** | სამართლის დოქტორი (0421) |
| **ინგლისურად:** | Doctor of Law (0421) |
| **პროგრამის დამტკიცების თარიღი** | უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით N01/05-111 |
| **პროგრამის განახლების თარიღი** | უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება 01/01-20, 28.04.2022; 08.12.2023 (ბრძ. 01/01-49) |

**პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები**

**სრული ინფორმაცია იხ. " პროგრამის ხელმძღვანელის CV"**

ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი

არჩილ ჩოჩია, ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა

## პროგრამის სტრუქტურა

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, *„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა" არის „აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს."*

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (60 ECTS კრედიტი) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სადოქტორო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 წელს (6 სემესტრი). სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის (6 სემესტრის) ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე დოქტორანტს უფლება აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსით სწავლას აგრძელებდეს არაუმეტეს 4 სემესტრის განმავლობაში.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 20-20 კალენდარულ კვირას. შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ-საათს, რაც მოიცავს, დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები;

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ფარგლებში დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით.
სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

| **სადოქტორო პროგრამის კომპონენტები და კრედიტები** | |
|---|---|
| **სასწავლო კომპონენტი** | 60 ECTS კრედიტი |
| **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** | - |
| **სასწავლო კომპონენტი** | |
| პირველი თემატური სემინარი (სავალდებულო) | 20 ECTS კრედიტი |
| მეორე თემატური სემინარი (სავალდებულო) | 20 ECTS კრედიტი |
| სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო) | 10 ECTS კრედიტი |
| სწავლების ინოვაციური მეთოდები (სავალდებულო) | 5 ECTS კრედიტი |
| პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო) | 5 ECTS კრედიტი |
| სამართლის ფილოსოფია (არჩევითი)<br>**შენიშვნა:** დოქტორანტს, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთწლიანი პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტს, აქვს უფლება პროფესორის ასისტენტობის ნაცვლად გაიაროს სასწავლო კურსი სამართლის ფილოსოფია. | 5 ECTS კრედიტი |
| **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** | |
| ➢ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა | სრულდება სასწავლო კომპონენტის ამოწურვის შემდეგ და გრძელდება არანაკლებ 2 წელი. |
| **შენიშვნა:** | |
| სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში სამართლის სკოლის დოქტორანტი ადგენს **ინდივიდუალურ კვლევით გეგმას** სამეცნიერო ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) შეთანხმებით. კვლევითი გეგმა მოიცავს დისერტაციაზე მუშაობის გრაფიკს. გეგმა ასევე მოიცავს ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისა და სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის გრაფიკს. ორივე სამეცნიერო სტატია (პროგრამითა და დებულებით დადგენილი სტანდარტის დონეზე) და საკონფერენციო მოხსენება დაკავშირებულია სადისერტაციო ნაშრომთან და მათი შესრულება წარმოადგენს დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობას. | |

| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა |
|---|
| „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49(1) მუხლის თანახმად, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტურის საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მინიმალურ სტანდარტს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56(1) მუხლის თანახმად, დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება **კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (CSL) დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით**. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.<br>სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა **ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა.** სერთიფიკატის ((IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) არქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა ტესტური გამოცდის მეშვეობით აღნიშნული ენის B2 დონაზე ცოდნის დადგენას. შესაბამის ენობრივ კომპეტენციას უთანაბრდება შემთხვევა, თუ კი აპლიკანტს გააჩნია უცხოეთში (პროგრამის მითითებულ ენაზე გავლის შემთხვევაში) მიღებული ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი.<br>საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს და ასევე მობილობის წესით საქართველოს და უცხოეთის სამართლის სადოქოტორო პროგრამებზე რიცხულ, სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებს.<br>დოქტორანტობის კანდიდატი, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (B2 დონე). სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ჩააბარებს საუნივერსიტეტო შიდა გამოცდას. |

# სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

| სადოქტორო პროგრამის მიზანი | |
|---|---|
| სადოქტორო პროგრამის მიზანია :<br><br>1. ახალი თაობის მეცნიერ-მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება;<br>2. დოქტორანტებში ზუსტი და მაღალი აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება;<br>3. თეორიულ-დოქტრინალური, დოგმატური და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული ღრმა სწავლებისა და გააზრების პროცესში, სამართლის თეორიისა და თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების (ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე) გადაწყვეტის მიზნით, სამართლის კონკრეტულ დარგში/ქვედარგში ახალი ცოდნის გენერირება, ინოვაციური მიდგომების განვითარება-დანერგვა, წარმოჩენა და დემონსტრირება იმგვარად, რომ მოახდინოს ზეგავლენა ისეთი ეროვნული სამართლის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ემსახურება ადამიანის ღირსების პატივისცემას, სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული, სოლიდარული, მდგრადი, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას, დემოკრატიისა და მართლმსაჯულების გაძლიერებას;<br>4. მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებლიანი, აკადემიური პატიოსნების ურყევ დაცვაზე ორიენტირებული, მაღალეთიკური პროფესიული ქცევისა და კეთილსინდისიერების მქონე, ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული ფასეულობების ერთგული სპეციალისტის მომზადება. | |
| **პროგრამის სწავლის შედეგები** | |

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დარგობრივ კომპეტენციებს, რომელიც ეფუძნება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას:

**A. ცოდნა და გაცნობიერება**

**A1.** აღწერს სამართლის დარგის ან ქვედარგის ფარგლებში აკუმულირებულ სამეცნიერო და უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, მათ შორის, მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში, დარგის/ქვედარგის განვითარების ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ საწყისებს და განვითარების თანამედროვე ტენდენციებს ეროვნულ ან/და გლობალურ დონეზე (სხვადასხვა სამართლის სისტემის ან/და ქვეყნების ეროვნული სამართლის ფარგლებში), თეორიასა და პრაქტიკაში მდგარ პრობლემებს და მათი მეცნიერული გადაწყვეტის კონცეპტუალურ მიდგომებს,

**A2.** სიღრმისეულად ფლობს და იყენებს სამართლებრივი კვლევის, სამეცნიერო წერისა და სწავლების თანამედროვე და ინოვაციურ მეთოდებს.

**B. უნარი**

**B.1.** დამოუკიდებლად გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და ახორციელებს კვლევას აკადემიურ პატიოსნებაზე დაფუძნებულს, იყენებს რა კვლევის სამართლებრივ მეთოდებს და სამეცნიერო წერის თანამედროვე მეთოდებს, ორიენტირებულია რა ახალი ცოდნის შექმნასა და იმ სტანდარტებით საკითხის დამუშავებაზე, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;

**B.2.** დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას უკეთებს ახალ და წინააღმდეგობრივ სამეცნიერო შეხედულებებს, პრობლემათა გადაწყვეტის განსხვავებულ მიდგომებს, ახალ, აქტუალურ და სადავო სასამართლო პრეცედენტებს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ქვეყნების მაგალითებზე, ახორციელებს მათ კომპლექსურ და მრავალმხრივ შედარებას, სინთეზს, ანალიზს, ახდენს მათ სისტემატიზაციას და მიდის სამართლებრივ-ღირებულებით განზომილებებზე დაფუძნებულ თეორიულ და პრაქტიკულ დასკვნებამდე, იღებს სრულად დამოუკიდებელ, ახლებურ და ეფექტურ გადაწყვეტილებას, რომელსაც აქვს სამეცნიერო ღირებულება.

**B.3.** ადგენს, ცოდნის მიღებისა და კვლევის პროცესში, მიღწეული შედეგების სამეცნიერო/აკადემიური სტანდარტების შესაფერისი დოკუმენტირებისა და დემონსტრირების ხერხებს, მეთოდებს, ფორმებს, ქმნის კარგად სტრუქტურირებულ სამეცნიერო ნაშრომს (როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში) ქართულ ანდა ინგლისურ ენებზე, სამეცნიერო და პროფესიული აუდიტორიის წინაშე წარადგენს კვლევით შედეგებს და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას; წარმოაჩენს დისკუსიისა და კამათის მაღალ აკადემიურ და ეთიკურ სტანდარტს.

**B.4.** გეგმავს პრაქტიკული სწავლების განსახორციელებლად აუცილებელ ნაბიჯებს, კერძოდ, სალექციო, სასემინარო, პრაქტიკუმისა და ცოდნის გადაცემისა და შეფასების პროცესს, მონაწილეობს სასწავლო პროცესის განხორციელებასა და განვითარებაში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

**C. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით ან/და სასწავლო საქმიანობას, რომელიც განმტკიცებულია აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერებით; შეიმუშავებს და ქმნის ახალ ცოდნას ორიენტირებულს/აქცენტირებულს სამართლის განვითარებისაკენ, მათ შორის, საკანონმდებლო პროცესზე პოზიტიური ზეგავლენისა და სამოსამართლეო სამართლის დახვეწისაკენ, რაც ემსახურება, პირველ რიგში, პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარებას, აგრეთვე, სფეროს დემოკრატიზაციას, ინტერნაციონალიზაციას, ხოლო დარგის/ქვედარგის გათვალისწინებით (სადაც ეს შესაძლებელია), რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე, ქვეყნის შიგნით მიღებული სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციურობის დემონსტრირებას.

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფეროები** | კავკასიის უნივერსიტეტი, დოქტორანტურის კურსდამთავრებულთან შეთანხმებით, აფორმებს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესახებ ორწლიან შრომით ხელშეკრულებას. გარდა ამისა, კურსდამთავრებულმა შეიძლება წარმატებით განახორციელოს პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო/პროფესიული საქმიანობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჯარო ან კერძო სექტორში, ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, |

| | |
|---|---|
| | საერთაშორისო ან ეროვნულ პროექტებში, სადაც მოითხოვება სამართლის დოქტორის ხარისხი. |
| **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა** | ნებისმიერი დარგობრივი/საგანმანათლებლო დაწესებულება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპის გათვალისწინებით. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | |

**სასწავლო კომპონენტის შეფასება**

დოქტორანტის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების დაცვით.

სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.

- შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის მინიმუმ 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება.
- სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 30 ქულის 60% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში 60%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.
- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ, დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.
- სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
- სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.
- ლექტორი უფლებამოსილია შუალედურ და დასკვნით შეფასებებს განსხვავებული მოთხოვნები დაუწესოს რაც აისახება შესაბამის სილაბუსში.

შეფასების სისტემა უშვებს

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი

შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია შესაბამისი სკოლის სადოქტორო სწავლების დებულებაში.

**სადისერტაციო ნაშრომის შეფასება**

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (დისერტაციის) შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების საფუძველზე.

სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება (P – დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ფრიადი (summa cum laude) (91-100 ქ.) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) (81-90 ქ.) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (cum laude) (71-80 ქ.) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (bene) (61-70 ქ.) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) (51-60 ქ.) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება (F – ვერ დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- (FX) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) (41-50 ქ.)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს;
- (F) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) (0-40 ქ.) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ შეფასება იქნა „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა - insufficienter) ან სრულიად „არადამაკმაყოფილებელი“ (41 ქულაზე ნაკლები - sub omni canone). დისერტაციის შეფასება ხორცილედება კოლეგიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.

სადისერტაციო კომისიის მიერ, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დისერტაციის შეფასების საბოლოო ქულა გამოითვლება სადისერტაციო კომისიის წევრების შეფასების საშუალო არითმეტიკულით. დისერტაციაში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს, თუ იგი გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს - შეფასების ციფრობრივი ეკვივალენტის მიხედვით, შეფასების მაქსიმალური ქულის 60%-ს. დისერტაციაში 41-59 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ სკოლის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარედგინოს შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო 40-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს განსაზღვრავს და აკონკრეტებს „კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“.

**სწავლება სწავლის მეთოდები**

ძირითადად, დოქტორანტთან საქმიანობა ატარებს მკვეთრად სპეციფიკურ ხასიათს გამომდინარე მისი შესაძლებლობებიდან და კვლევის ინტერესებიდან.

სწავლება-სწავლის **მეთოდი** წარმოადგენს დოქტორანტისათვის, ცოდნის გადაცემის საშუალებას, როგორიცაა:

- ლექცია;

- სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობა;
- სემინარი;
- ელექტრონული რესურსით სწავლება;
- ელექტრონული სწავლება
- და სხვა.

სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის **აქტივობებს,** როგორიცაა:
დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში და სხვა.
მეთოდები და აქტივობები დაკონკრეტებულია სასწავლო კურსის ანდა სასწავლო აქტივობის სილაბუსებში. მეთოდისა და აქტივობის შერჩევა ეხმიანება სწავლების საფეხურს, ემსახურება კონკრეტული სასწავლო კურსის ანდა სასწავლო აქტივობის სილაბუსით განსაზღვრული მიზნებისა განხორციელებას. შერჩეული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტის მხრიდან შესაბამისი ცოდნის შეძენას, უნარების გამომუშავებასა და პასუხისმგებლობის განვითარებას. თითოეული სასწავლო კურსის ანდა სასწავლო აქტივობის ფარგლებში დადგენილი მეთოდები და აქტივობები ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები ერთმანეთს ავსებენ. სასწავლო კურსის ანდა სასწავლო აქტივობის სილაბუსებში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ერთი ან რამდენიმე მეთოდი და აქტივობა, რომელიც განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკით.

**პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები**

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიცირებული ადამიანური რესურსით:
***აფილირებული აკადემიური პერსონალი:***

- პროფესორი - 4
- ასოცირებული პროფესორი - 8
- ასისტენტ პროფესორი - 1

***აკადემიური პერსონალი***

- პროფესორი - 2
- ასოცირებული პროფესორი - 2

***მოწვეული სპეციალისტი*** - 1

**პროგრამის სხვა რესურსები**

კავკასიის სამართლის სკოლა არის სამართლის აკადემიური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
სადოქტორო–საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალება ეძლევა შესაბამისი სასწავლო კურსები გაიაროს კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტში (გავლილი სასწავლო კურსის და კრედიტის აღიარების საკითხი გადაწყდება კანონმდებლობით და ასევე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით).
მოცემული საგანამნათლებლო პროგრამა შეიქმნა და ხორციელდება ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. თანამშრომლობის ფორმატში მოიაზრება ამ უნივერსიტეტის პროფესორების თანახელმძღვანელობა სადისერტაციო ნაშრომების მომზადებაში, დოქტორანტების მიერ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში სტატიების მომზადება და გამოქვეყნება ესტონელ მეცნიერებთან თანაავტორობით, პარტნიორი სკოლის პროფესურის მონაწილეობა სადისერტაციო საბჭოს სხდომებში და სხვა. ამ მიმართულებით წარმოებული საქმიანობის უშუალო კოორდინატორია ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეეტის

სამართლის სკოლის დირექტორი, პროფესორი ტანნელ კერიკმეი, რომელიც ამავდროულად საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართულებით ერთ-ერთი ბლოკ-სემინარის განხორციელებაშია ჩართული.

**საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსები:**

- ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაცია (ELFA);
- საჯარო სამართლის საერთაშორისო ორგანიზაცია (EPLO);

**პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების რესურსები:**

- ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (ატლანტა, აშშ);
- ჩესტერის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (დიდი ბრიტანეთი);
- მადრიდის კარლოს III სახელობის უნივერსიტეტი (ესპანეთი);
- ზაარლანდის უნივერსიტეტის იურიდული ფაკულტეტი (გერმანია);
- ლუბლიანას უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი (სლოვენია);
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (ესტონეთი);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

**საჯარო დაწესებულებები:**

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს მთავარი პროკურატურა;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- თბილისის საქალაქო სასამართლო;
- თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- ქ. თბილისის მერია;
- ქ. თბილისის საკრებულო;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი;
- ნოტარიუსთა პალატა;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- საჯარო რეესტრი;
- ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
- აღსრულების ეროვნული ბიურო.

**კლინიკები:**

თბილისი:

1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
2. ცესკო
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
4. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო
5. საადვოკატო ბიურო BBK
6. საადვოკატო ბიურო LBC
7. იურიდიული დახმარების სამსახური

აჭარა:

1. საადვოკატო ბიურო „მარკოიძე, პაპიძე და პარტნიორები“
2. საადვოკატო ბიურო „AM Georgia“
3. „რეალტორ ლეგალ ქონსალთინგი“ (Realtor Legal Consulting)

4. ძალადობის, წამებისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი „ემპათია“
5. აჭრის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
6. ლეგალ ქონსალთინგ ცენტრი (Legal Consulting Center)
7. საკონსულტაციო კომპანია „ახვლედიანი ენდ ლო (Akhvlediani and Law)“
8. საადვოკატო ბიური „იურიდიული მრჩეველი“
9. ბათუმის საქალაქო სასამართლო.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

**საბიბლიოთეკო რესურსები:**
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).
უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელეტრონული ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგის მიღწევას. ბიბლიოთეკის ელექტრონული და ნაბეჭდი რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.
სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.
ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 21524 ერთეული ბეჭდური და 10877 ერთეული ელექტრონული რესურსი). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 2 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- EBSCO HOST
- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding (Funding Institutional)
- HeinOnline
- Taylor and Francis
- Math Scientific Publishing (MSP)-Journals"

**მატერიალური რესურსები:**
კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა სააკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო

სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობებით, როგორიცაა: VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენონაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. კავკასიის უნივერსტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური “მაგისტრი”, შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A , B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპელქტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 380 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board”, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღბი დანადგარი „HP MFD” - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco”-ს და ”Aruba/HP”-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:

- სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათებს,
- სასწავლო კურსების რაოდენობას (ჩაშლილად სავალდებულო, არჩევითი),
- სალექციო საათების ანაზღაურებას,
- პროგრამით გათვალისწინებული სადოქტორო ნაშრომის/ხელმძღვანელის/რეცენზენტის ანაზღაურებას,
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას,
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს,
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს,
- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელ ხარჯს.

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც მცირე ჯგუფის შემთხვევაში მოემსახურება პროგრამის ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ხორციელდება ცვლილების შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება. პროგრამის ბიუჯეტი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ, რაც დასტურდება ბრძანების სახით, რომელსაც დანართად ერთვის პროგრამის ბიუჯეტის კალკულაცია.

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსების სილაბუსები | ☒ თან ერთვის ☐ არ ერთვის |
| | |
| კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება | ☒ თან ერთვის ☐ არ ერთვის |

**სასწავლო გეგმა**

| კოდი | სასწავლო კურსი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი | სასწავლო წელი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | | II | | III | | |
| | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | ECTS კრედიტი |
| NSEM 7120 | პირველი თემატური სემინარი | 20 | | | | | | 20 |
| NLRM 7120 | სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები | 10 | | | | | | 10 |
| NSEM 7221 | მეორე თემატური სემინარი | | 20 | | | | | 20 |
| NSIM 7220 | სწავლების ინოვაციური მეთოდები | | 5 | | | | | 5 |
| NPRA 7220 | პროფესორის ასისტენტობა | | 5 | | | | | 5 |
| NIDS 7120 | სამართლის ფილოსოფია[1] | | 5 | | | | | 5 |
| | **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** | | | | | | | |
| NRES 7320 | დისერტაციის მომზადება და დაცვა | | | X | | | | |

**შენიშვნა:**

ა) პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი:

- სავალდებულოდ ასრულებს 2 თემატურ სემინარს და იცავს მას საჯაროდ (კომისიის წინაშე);
- სავალდებულოდ გადის 3 სასწავლო კურსს: „სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები“, „სწავლების ინოვაციური მეთოდები“, „პროფესორის ასისტენტობა.“
- დოქტორანტი, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთწლიანი პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტს, აქვს უფლება პროფესორის ასისტენტობის ნაცვლად გაიაროს სასწავლო კურსი „სამართლის ფილოსოფია“.

ბ) სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი გადადის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებაზე, რომელიც შედგება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვისგან. დისერტაციის მომზადების პროცესში დოქტორანტი სავალდებულოდ აქვეყნებს ორ

[1] სასწავლო კურსს „სამართლის ფილოსოფია“ დოქტორანტი სტუდენტი გადის მხოლოდ მაშინ, თუ არ გადის სასწავლო აქტივობას „პროფესორის ასისტენტობა“ (პროგრამითა და დებულებით განსაზღვრულ შემთხვევაში)

სამეცნიერო სტატიას და ერთ საკონფერენციო მოხსენებას.
გ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:

- არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო/კომიტეტი და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამასთან, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში. სტატია უნდა გამოქვეყნდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. თუ დოქტორანტმა სტატია გამოაქვეყნა უცხოურ ჟურნალში, ის თავისუფლდება სტატიის ქართული ვერსიის გამოქვეყნებისაგან.
- სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (დოქტორანტის მოხსენების გაკეთება) სადისერტაციო თემის პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

დ) დოქტორანტი, რომელიც ამოწურავს სასწავლო კომპონენტს და დაიწყებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას (ინდივიდუალური კვლევითი გეგმის ფარგლებში) ყოველი სემეტრის ბოლოს წარმოადგენს ანგარიშს სემეტრის განმავლობაში განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შესახებ. აღნიშნულ ანგარიშს უნდა იზიარებდეს და ხელმოწერით ადასტურებდეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
ე) პროგრამასთან დაკავშირებულ აკადემიურ რეგულაციებს განსაზღვრავს და აკონკრეტებს „კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“.

**სასწავლო კომპონენტის ფაარგლებში დოქტორანტის საათობრივი დატვირთვა**

| № | საათები / საგანი | დაშვების წინაპირობა | ECTS კრედიტი | საკონტაქტო საათები (სტუდენტის სასწავლო დატვირთვა) | დამოუკიდებელი საათები (სტუდენტის სასწავლო დატვირთვა) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | პირველი თემატური სემინარი | არ გააჩნია | 20/500 | 55[2] | 445 |
| 2. | სამეცნიერო წერის თანმედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები | არ გააჩნია | 10/250 | 45 | 205 |
| 3. | მეორე თემატური სემინარი | NSEM 7221 | 20/500 | 55 | 445 |
| 4. | სწავლების ინოვაციური მეთოდები | არ გააჩია | 5/125 | 30 | 95 |
| 5. | პროფესორის ასისტენტობა | არ გააჩნია | 5/125 | 23 | 102 |

[2] 25 სთ. საშინაო დავალება/პრეზენტაცია, 30 სთ. ხელმძღვანელთან კონსულტაცია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6. | სამართლის ფილოსოფია (არჩევითი) | არ გააჩნია | 5/125 | 30 | 95 |

## პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

| პროგრამის მიზნები | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცოდნა და გაცნობიერება | | უნარი | | | | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| | A1[3] | A2[4] | B1[5] | B2[6] | B3[7] | B4[8] | C[9] |
| **მიზანი 1.** ახალი თაობის მეცნიერ-მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება. | v | v | v | v | v | v | v |
| **მიზანი 2:** დოქტორანტებში ზუსტი და მაღალი აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება. | | v | v | | | | |
| **მიზანი 3.** თეორიულ-დოქტრინალური, დოგმატური და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული ღრმა სწავლებისა და გააზრების პროცესში, სამართლის თეორიისა და თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების (ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე) გადაწყვეტის მიზნით, სამართლის კონკრეტულ დარგში/ქვედარგში ახალი ცოდნის გენერირება, ინოვაციური მიდგომების განვითარება-დანერგვა, წარმოჩენა და დემონსტრირება იმგვარად, რომ მოახდინოს ზეგავლენა ისეთი ეროვნული სამართლის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ემსახურება ადამიანის ღირსების პატივისცემას, სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული, სოლიდარული, მდგრადი, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას, დემოკრატიისა და მართლმსაჯულების გაძლიერებას. | v | | | v | v | | v |
| **მიზანი 4.** მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებლიანი, აკადემიური პატიოსნების ურყევ დაცვაზე ორიენტირებული, მაღალეთიკური პროფესიული ქცევისა და კეთილსინდისიერების მქონე, ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული ფასეულობების ერთგული სპეციალისტის მომზადება. | | | | | | | v |

---

[3] აღწერს სამართლის დარგის ან ქვედარგის ფარგლებში აკუმულირებულ სამეცნერო და უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, მათ შორის, მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში, დარგის/ქვედარგის განვითარების ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ საწყისებს და განვითარების თანამედროვე ტენდენციებს ეროვნულ ან/და გლობალურ დონეზე (სხვადასხვა სამართლის სისტემის ან/და ქვეყნების ეროვნული სამართლის ფარგლებში), თეორიასა და პრაქტიკაში მდგარ პრობლემებს და მათი მეცნიერული გადაწყვეტის კონცეპტუალურ მიდგომებს.

[4] სიღრმისეულად ფლობს და იყენებს სამართლებრივი კვლევის, სამეცნიერო წერისა და სწავლების თანამედროვე და ინოვაციურ მეთოდებს.

[5] დამოუკიდებლად გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და ახორციელებს კვლევას აკადემიურ პატიოსნებაზე დაფუძნებულს, იყენებს რა კვლევის სამართლებრივ მეთოდებს და სამეცნიერო წერის თანამედროვე მეთოდებს, ორიენტირებულია რა ახალი ცოდნის შექმნასა და იმ სტანდარტებით საკითხის დამუშავებაზე, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;

[6] დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას უკეთებს ახალ და წინააღმდეგობრივ სამეცნიერო შეხედულებებს, პრობლემათა გადაწყვეტის განსხვავებულ მიდგომებს, ახალ, აქტუალურ და სადავო სასამართლო პრეცედენტებს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ქვეყნების მაგალითებზე, ახორციელებს მათ კომპლექსურ და მრავალმხრივ შედარებას, სინთეზს, ანალიზს, ახდენს მათ სისტემატიზაციას და მიდის სამართლებრივ-ღირებულებით განზომილებებზე დაფუძნებულ თეორიულ და პრაქტიკულ დასკვნებამდე, იღებს სრულად დამოუკიდებელ, ახლებურ და ეფექტურ გადაწყვეტილებას, რომელსაც აქვს სამეცნიერო ღირებულება.

[7] ადგენს, ცოდნის მიღებისა და კვლევის პროცესში, მიღწეული შედეგების სამეცნიერო/აკადემიური სტანდარტების შესაფერისი დოკუმენტირებისა და დემონსტრირების ხერხებს, მეთოდებს, ფორმებს, ქმნის კარგად სტრუქტურირებულ სამეცნიერო ნაშრომს (როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში) ქართულ ანდა ინგლისურ ენებზე, სამეცნიერო და პროფესიული აუდიტორიის წინაშე წარადგენს კვლევით შედეგებს და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას; წარმოაჩენს დისკუსიისა და კამათის მაღალ აკადემიურ და ეთიკურ სტანდარტს.

[8] გეგმავს პრაქტიკული სწავლების განსახორცილებლად აუცილებელ ნაბიჯებს, კერძოდ, სალექციო, სასემინარო, პრაქტიკუმისა და ცოდნის გადაცემისა და შეფასების პროცესს, მონაწილეობს სასწავლო პროცესის განხორციელებასა და განვითარებაში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

[9] ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით ან/და სასწავლო საქმიანობას, რომელიც განმტკიცებულია აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერებით; შეიმუშავებს და ქმნის ახალ ცოდნას ორიენტირებულს/აქცენტირებულს სამართლის განვითარებისაკენ, მათ შორის, საკანონმდებლო პროცესზე პოზიტიური ზეგავლენისა და სამოსამართლეო სამართლის დახვეწისაკენ, რაც ემსახურება, პირველ რიგში, პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარებას, აგრეთვე, სფეროს დემოკრატიზაციას, ინტერნაციონალიზაციას, ხოლო დარგის/ქვედარგის გათვალისწინებით (სადაც ეს შესაძლებელია), რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე, ქვეყნის შიგნით მიღებული სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციურობის დემონსტრირებას.

## სასწავლო კურსის და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

| კოდი | სასწავლო კურსი, სასწავლო აქტივობა | სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | ECTS(სწავლების რეკომენდირებული სემესტრი სტუდენტის პროფილისთვის) | ცოდნა და გაცნობიერება | | უნარი | | | | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **A1** | **A2** | **B1** | **B2** | **B3** | **B4** | **C** |
| NLRM 7120 | სამეცნიერო წერის თანამედროვე სტნდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები | ს | 10 ECTS<br>I სემესტრი | **v** | **v** | **v** | **v** | **v** | | **v** |
| NIDS 7120 | სამართლის ფილოსოფია | ა | 5 ECTS<br>I I სემესტრი | **v** | | **v** | **v** | **v** | | **v** |
| NSIM 7220 | სწავლების ინოვაციური მეთოდები | ს | 5 ECTS<br>II სემესტრი | **v** | | | | **v** | **v** | **v** |
| NPRA 7220 | პროფესორის ასისტენტობა | ს | 5 ECTS<br>II სემესტრი | **v** | | | **v** | **v** | **v** | **v** |
| NSEM 7120<br>NSEM 7221 | პირველი და მეორე თემატური სემინარი | ს | 40 ECTS<br>I – II სემესტრი<br>20/20 ECTS | **v** | **v** | **v** | **v** | **v** | | **v** |

*სამართლის სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის*

*ძირითადი/ მოწვეული აკადემიური პერსონალის*

*რესურს-ბაზა*

| ინფორმაცია პროგრამაში ჩართული ძირითადი აკადემიური პერსონალის შესახებ | | | |
|---|---|---|---|
| № | სახელი და გვარი | სტატუსი | დისციპლინები |
| 1 | გიორგი ლორია | პროფესორი | სამართლის ფილოსოფია |
| 2 | ნიკოლოზ ფარჯანაძე | მოწვეული სპეციალისტი | სწავლების ინოვაციური მეთოდები |
| 3 | ლევან მოსახლიშვილი | აფილირებული ასოცირებული პროფესორი | სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები; პროფესორის ასისტენტობა (საჯარო სამართალი) |
| 4 | სიმონ ტაკაშვილი | ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალში) |
| 5 | ნინო ხარიტონაშვილი | აფილირებული ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალი) |
| 6 | მაკა კარტოზია | პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალი) |
| 7 | გიოორგი უსტიაშვილი | აფილირებული ასისტენტ პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალი) |
| 8 | გიორგი გიგუაშვილი | აფილირებული ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალი) |
| 9 | ნინო მესხიშვილი | ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალი) |
| 10 | ლევან გოთუა | აფილირებული ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალი) |
| 11 | გივი ადამია | აფილირებული ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალი) |
| 12 | ირინე ბოხაშვილი | აფილირებული ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (სისხლის სამართალი) |
| 13 | თამარ გეგელია | აფილირებული ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (სისხლის სამართალი) |
| 14 | ლევან დარბაიძე | აფილირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (სისხლის სამართალი) |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| 15 | ირინე ხერხეულიძე | აფილირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (სისხლის სამართალი) |
| 16 | ხათუნა ბურკაძე | აფილირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (საერთაშორისო სამართალი) |
| 17 | გიორგი თუმანიშვილი | აფილირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (კერძო სამართალი) |
| 18 | გიგა აბუსერიძე | აფილირებული ასოცირებული პროფესორი | პროფესორის ასისტენტობა (საერთაშორისო სამართალი) |